ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ 2022 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
,,ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა - „რეპროარტს“
(საიდენტიფიკაციო კოდის №404945244)
შორის 2018 წლის 05 ივლისს გაფორმებული
№26 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული
საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადის შეცვლასთან დაკავშირებით
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის, „დ“ ქვეპუნქტის, „დ.ა“ და „დ.ლ“ ქვეპუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 398-ე მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა - „რეპროარტს“ (საიდენტიფიკაციო კოდის №404945244) შორის 2018 წლის 05 ივლისს გაფორმებული №26 ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების (ერთი მილიონი ლარის ინვესტიცია და დაასაქმოს მინიმუმ 30 ადამიანი) შესრულების ვადის, 2024 წლის 05 ივლისამდე გაგრძელების თაობაზე.

მუხლი 2. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს იოსებ ხახალეიშვილს უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა - „რეპროარტს“ (საიდენტიფიკაციო კოდის №404945244) შორის 2018 წლის 05 ივლისს გაფორმებულ №26 ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელება.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: _____ დავით ერემეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
,,ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა - „რეპროარტს“
(საიდენტიფიკაციო კოდის №404945244)
შორის 2018 წლის 05 ივლისს გაფორმებული
№26 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული
საინვესტიციო პირობის შეცვლასთან დაკავშირებით
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით
განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა შპს ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა - „რეპროარტის“ წარმომადგენელის მომართვა (01.06.2022 წ. N130/02), რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა - „რეპროარტს“ /ს.ნ 404945244/ შორის 2018 წლის 05 ივლისს გაფორმებული №26 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო პირობის/ვალდებულების ვადის გაგრძელებას.

განვმარტავთ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 12 ივნისის №1301 ბრძანებით გამოცხადებული იქნა ელექტრონული აუქციონი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების /მიწის ნაკვეთი/ პირობებით პრივატიზებისათვის, რომელიც დასრულებული იქნა 2018 წლის 27 ივნისს, აუქციონზე გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტი“, ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა N83ა-ს ჩრდილოეთით მდებარე მიწის ნაკვეთზე (ფართობით - 600 კვ.მ. ს.კ. 03.01.22.346). 2018 წლის 27 ივნისს გაფორმებული იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი №26. 2018 წლის 5 ივლისს ასევე, გაფორმებული იქნა ქალაქ ქუთაისის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება №26, რომლის შესაბამისად აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო ფასი დარჩენილი თანხა 59 700,0 (ორმოცდაცხრამეტი ათას შვიდასი) ლარის სრულად გადახდა განაწილდა სამ ეტაპად, არაუგვიანეს 2018 წლის 20 დეკემბრისა (20.08.2018 წ. – 19 900 ლარი; 20.10.2018 წ - 19 900 ლარი; 20.12.2018წ. – 19 900 ლარი). შპს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტის“ მიერ სრულად იქნა გადახდილი აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო ფასი. 2018 წლის 27 დეკემბერს გაცემული იქნა პირობადადებული საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა №39.

სააუქციონო პირობის თანახმად, აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ შეძენილ უძრავ ქონებაზე (ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა N83ა-ს ჩრდილოეთით მდებარე მიწის ნაკვეთზე (ფართობით 600 კვ.მ. ს.კ. 03.01.22.346) უნდა განხორციელდეს არანაკლებ ერთი მილიონი ლარის ინვესტიცია და დასაქმდეს მინიმუმ ოცდაათი ადამიანი.
შპს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტის“ მიერ წარმოდგენილი იქნა სამედიცინო კლინიკის შენობის პროექტი და დაწყებული იქნა საძირკველის გაჭრა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ზემოთ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაედინება შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კუთვნილი ქალაქის მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის საჭირო სამი მაგისტრალური ქსელი, რაც შეუძლებელს ხდის სამუშაოების ჩატარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება 2018 წლის 5 ივლისს გაფორმებული ქალაქ ქუთაისის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება №26-ით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

შპს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტის“ მიერ კერძო მესაკუთრისაგან დამატებით შეძენილი იქნა მიწის ნაკვეთი სამედიცინო კლინიკის მშენებლობის მიზნით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტის“ მიერ დასმული იქნა საკითხი 2018 წლის 5 ივლისს გაფორმებული ქალაქ ქუთაისის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება №26-ით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა - „რეპროარტს“ (საიდენტიფიკაციო კოდის №404945244) შორის 2018 წლის 05 ივლისს გაფორმებული №26

ეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების (ერთი მილიონი ლარის ინვესტიცია და დაასაქმოს მინიმუმ 30 ადამიანი) შესრულების ვადის, 2024 წლის 05 ივლისამდე გაგრძელება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ვ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით უფლებამოსილია გადაწყვიტოს პრივატიზებული ან/და სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების საკითხი, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით მიიღოს გადაწყვეტილება აუქციონის ფორმით პრივატიზებული მუნიციპალიტეტის (გარდა თბილისისა) ქონების შემძენისათვის, სარგებლობის უფლებით გადაცემული ან მართვის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის (გარდა თბილისისა) ქონების მიმღებისათვის: ა) ამ ქონებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პირობის შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ.

შესაბამისად, წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა - „რეპროარტს“ (საიდენტიფიკაციო კოდის №404945244) შორის 2018 წლის 05 ივლისს გაფორმებული №26 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო პირობის შეცვლასთან დაკავშირებით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“.

განკარგულების პროექტს საკრებულოს სხდომაზე წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვალერიან სილაგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი: დავით ერემეიშვილი